

# ქონების დაზღვევის პროდუქტები და ფინანსური მაჩვენებლები

ქეთევან გაბუნია  
ნინო ჯანჯალაშვილი

*სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებისადახ  
ელოვნებისფაკულტეტზებიზნესისადმინისტრირების(სადაზღვევოსაქმე)  
მაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად*

*სამაგისტროპროგრამა„სადაზღვევოსაქმე“*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევან გაბუნია

ხელმოწერა

ქ.გაბუნია

ნინო ჯანჯალაშვილი

ხელმოწერა

ნ.ჯანჯალაშვილი

თარიღი

20/06/2014

## აბსტრაქტი

დაზღვევის ისტორია იმდენად ძველია, რომ რთულია იმის დადგენა თუ როდის განხორციელდა დაზღვევა პირველად. საქართველოში დაზღვევის განვითარება იწყება 1916წლიდან, როდესაც ბაქოში შეიქმნა დაზღვევის ამხანაგობა. დღევანდელი რეალობით დაზღვევა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განსაკუთრებული სტრუქტურაა და, აქედან გამომდინარე, ის, როგორც ერთ-ერთი პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას არასდროს დაკარგავს აქტუალობას.

კვლევის მიზანია მოვიპოვოთ ინფორმაცია საქართველოში არსებული ოთხი ყველაზე განვითარებული სადაზღვევო კომანიის („ალდაგი“ , „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, „არდი ჯგუფი“ და „აი სი ჯგუფი“) ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, გავიგოთ რა წილი უჭირავს ქონების დაზღვევას დღეს სადაზღვევო ბაზარზე და გამოვავლინოთ ყველაზე ხელმისაწვდომი და მოსახლეობის მოთხოვნებზე მორგებული ქონების დაზღვევის პროდუქტები.

კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს მეორადი კვლევა, რომელიც მოიცავს უკვე შეკრებილი და საყოველთაოდ ცნობილი მონაცემების ანალიზს. ჩავატარეთ საქართველოს ბაზარზე არსებული სადაზღვევო კომპანიების კონკურენციის გამოკვლევა და კონკურენტების შესწავლა.

რადგან ქონების დაზღვევა საქართველოში ყველაზე პოპულარული დაზღვევის პროდუქტების სამეულში შედის, ამიტომ ვფიქრობთ, რომ საკმაოდ საინტერესო იქნება იმის გაგება თუ ქონების დაზღვევის რა პროდუქტებს, პირობებს და ფასებს გვთავაზობენ სადაზღვევო კომპანიები დღესდღეისობით საქართველოში, რამდენად აკმაყოფილებენ მომხმარებლების მოთხოვნებს და რეალურად ხდება თუ არა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული რისკების დაფარვა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** *ქონების დაზღვევა, საქართველო.*

## **Abstract**

History of insurance is ancient, thus it is hard to determine when the first insurance took place.

In Georgia, development of insurance began in 1961, at the time when insurance was created in Baku. In contemporary society insurance is special structure of social-economical system and because insurance is one of those products which help countries' economical development, it will never lose its importance.

The purpose of this research is to obtain information about three of the most developed insurance companies in Georgia (Aldagi BCI, GPI Holding, IC Group). Another aim of this research is to understand the percentage of property insurance in the whole insurance market according to financial screenings and to reveal population's most accessible and demanded products in property insurance.

Secondary research is one of the research methodology which includes analyzes of data which are already collected and publicly known. We researched competition and competitors itself in the Georgian Insurance market.

As long as, 3 Georgian most popular insurance products includes property insurance; we think that it would be quite interesting to research the products, conditions and prices of property insurance in Georgian insurance companies; whether or not they satisfy the demands of customers and do they really compensate the risks which are mentioned in the agreements.

**Key Words:** *property insurance, Georgia.*

## მადლობა

აღსანიშნავია სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების ნაკისრი პასუხისმგებლობა სტუდენტისა და უნივერსიტეტის წინაშე, რომელიც პირნათლად შეასრულეს. თემის ხელმძღვანელის-ბატონ თენგიზ ვერულავას მითითებები კვლევის ჩატარების და ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოადგენდა ინსტრუქციას, რომელიც საშუალებას იძლეოდა ნათლად დანახულიყო პრობლემა, მის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურითა თუ მეთოდებით შესწავლილ იქნა პრობლემა და გამოირკვა ამ პრობლემის მოგვარების გზები. სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია უნივერსიტეტის მატერიალურმა და ინტელექტუალურმა რესურსებმა-აკადემიური პერსონალის, არსებული კვლევების, ბიბლიოთეკის და ადმინისტრაციის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა და ნებელობა იმისა, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი ცოდნა იყოს დროის შესაბამისი. უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა, მირ მიერ მომზადებული სტუდენტი იყოს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზრზე და პასუხობდეს ყოველთვის სტანდარტს.